ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 55

29 აპრილი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

15:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თინათინ ნიბლოშვილი

ანა ლაშხი

ზაზა მამალაძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ შემდეგ საკითხებს:

სხდომის დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნაქულბაქევი გიორგის ქუჩისთვის ნაქულბაქევის სახელის მინიჭების შესახებ;
2. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის ქუჩისთვის ფილოსოფოსის თამაზ ბუაჩიძის სახელის მინიჭების შესახებ;
3. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისთვის სამადლოს სახელის მინიჭების შესახებ;
4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, ალექსანდრე ცომაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდა ექვთიმე აღმსარებლის სახელის მინიჭების შესახებ;
5. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, იოსებ კვაჭაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ;
6. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის კომპოზიტორის ალექსანდრე შავერზაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
7. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის სპორტსმენის ომარ ფხაკაძის სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის მაქსიმე შარაძის სახელის მინიჭების შესახებ;
9. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ბაღთან არსებული უსახელო ხეივნისთვის მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის სახელის მინიჭების შესახებ;

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით 2011 წლის 28 ოქტომბრის #68 დადგენილებით სახელწოდებაში უზუსტობა გასწორდა და საჯარო რეესტრთან კონსულტაციით, ნაცვლად ნაქულბაქევი გიორგისა ენიჭება ნაქულბაქევის სახელი.

მეორე საკითხის განხილვისას მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს გააცნო მოქალაქეების განცხადება, რომლითაც გარდაბნის ქუჩისთვის თემურ წიკლაურის სახელის მინიჭებას ითხოვდნენ. ალტერნატივად მოქალაქეების მხრიდან განიხილებოდა ფილოსოფოსის, მეცნიერებათა დოქტორის თამაზ ბუაჩიძის სახელი. კომისიამ მხარი დაუჭირა თამაზ ბუაჩიძის სახელის მინიჭების საკითხს.

ასევე განიხილეს მთაწმინდის რაიონში ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისთვის სამადლოს სახელის მინიჭების საკითხი. გაითვალისწინეს სოფელ სამადლოს (თბილისთან შემოერთბული ტერიტორია) მაცხოვრებლების თხოვნა და უბნისთვის შენარჩუნებულ იქნა ტოპონიმური სახელწოდება.

მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს გააცნო კიკეთში, ექვთიმე აღმსარებლის ტაძართან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექვთიმე აღმსარებლის სახელის მინიჭების საკითხი. განხილვაში ჩართული იყო საპატრიარქოც. კომისიამ მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანს დეკანოზ მიქაელ ბოტკოველს. შესაბამისი თანხმობის დოკუმენტის მიღების შემდეგ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება,

ასევე კომისიამ დადებითად გადაწყვიტა საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე იოსებ კვაჭაძის ქუჩის გაგრძელების საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილის კახა ცაბაძის წერილი, რომლითაც ითხოვდა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას კომპოზიტორ ალექსანდრე შავერზაშვილის სახელი მინიჭებოდა. კომისიამ აღნიშნულ ინიციატივას მხარი დაუჭირა, რათა საბურთალოს რაიონში უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს ალექსანდრე შავერზაშვილის სახელი.
მეშვიდე საკითხი შეეხება საბურთალოს რაიონში ლიხაურის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის სპორტსმენის ომარ ფხაკაძის სახელის მინიჭებას. ლიხაურის ქუჩის ქალაქგეგმარებითი მდგომარეობა იძლევა სახელდების შესაძლებლობას. ასევე საკითხი შეთანხმებულია ქუჩის მაცხოვრებლებთან.

მიხეილ ამაშუკელმა განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი მერვე საკითხი. კომისიაში შემოსულია მოქ. ჯონ ა. გრემის განცხადება, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის მაქსიმე შარაძის სახელის მინიჭებას. მაქსიმე შარაძის ბიოგრაფიის შესწავლის შემდეგ, მისი ღვაწლის გათვალისწინებით, ვინაიდან იგი იყო საზოგადო მოღვაწე, 1890 წელს ცნობილი სტამბის დამაარსებელი, კომისიას მიზანშწონილად მიაჩნია თბილისში არსებობდეს მაქსიმე შარაძის ქუჩა.

მეცხრე საკითხის განხილვისას მიხეილ ამაშუკელმა კომისიას გააცნო „თავისუფალი თეატრის" სამხატვრო ხელმძღვანელის ავთანდილ ვარსიმაშვილის წერილი, რომლითაც თეატრის კოლექტივის სახელით ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის სახელი. შეხვედრა შედგა „თავისუფალი თეატრის" სამხატვრო ხელმძღვანელთან ავთანდილ ვარსიმაშვილთან, რომელსაც თბილისის მერიის მოადგილე ანდრია ბასილაია ესწრებოდა. განხილულ იქნა თავისუფალი თეატრის მიმდებარედ არსებული ხეივნისთვის ნიკო გომელაურის სახელის მინიჭება. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ საკითხს.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოისმინეს, თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ხსენებული საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი